ავიაცია Gulf AVIATION

შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია
PETROCAS FUEL SERVICES GEORGIA LLC

06-23/203

19.06.2023

(ს/კ: 405208216)

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
«23» 06 2023წ.
№ 5835

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია" ქ. ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე გეგმავს საავიაციო ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობას, რომელიც მოემსახურება ბათუმის აეროპორტში ოპერირებად ავიაკომპანიებს.

საპროექტო ტერიტორია (ს/კ: 05.32.19.205) წარმოადგენს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" საკუთრებას, რომელიც მართვის უფლებით, სახელმწიფო კონტრაქტის მეშვეობით გადაცემული აქვს შპს „ტავ ურბან საქართველოს". აღნიშნულ ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების მიზნით, შპს „პეტროკას ფიუელს სერვისიზ ჯორჯიასა" და შპს „ტავ უბრან საქართველოს" შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს, მე-II დანართის, მე-6 პუნქტის, 6.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, წარმოგიდგენთ ამავე კანონის, მე-7 მუხლის შესაბამისად, მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს.

ამასთან, თქვენი 2023 წლის 7 აპრილის N21/2472 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე ბათუმის მუნიციპალიტეტის გენ.გეგმა დამუშავების ეტაპზეა, თუმცა დოკუმენტს თან ახლავს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან კომუნიკაციის ამსახველი წერილი.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია
SHP ფაილები

პატივისცემით,

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" დირექტორი
ივანე ევსია

მის: ჭავჭავაძის გამზირი 34, 0179 ; თბილისი, საქართველო
Address: Chavchavadze 34, 0179; Tbilisi, Georgia
ტელ / Tel: 2239944 / 2239922
www.gulfaviation.ge